ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 18-06

ონი, სოფ. სორი **18 ივნისი 2019 წელი**

შ.პ.ს.„ცოტნე" შემდგომში „გამყიდველი"-დ წოდებული, ერთის მხრივ და მეორე მხრივ შპს "ამბროლაურის სერვის ცენტრი" შემდგომში „შემსყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 გამყიდველმა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მოახდინოს ბეტონის ბ-22.5 მიწოდება, ს.სორში მდებარე ქარხნიდან.

2. საქონლის მიწოდების ვადები და ღირებულება

2.1 მიწოდება უნდა განხორციელდეს საჭიროების მიხედვით.

2.2 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება განისაზღვრება მიწოდებული პროდუქციის და შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე. ერთეული პროდუქციის ღირებულება 155 (ასორმოცდათხუთმეტი ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას: მიწოდოს ბეტონი შეთანხმებულ ვადებში.

4.2 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას: დროულად (2 სამუშაო დღე) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება. პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენს 10 (ათი) ლარს.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე .

6. ზოგადი დებულებები

6.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხრისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

6.2 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

6.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირე-ბული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრუ- ლებების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთსა და მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით. კარანტინითა და ემბარგოს დაწესებით. და სხვა .

8. დავათა განხილვის წესი

8.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები

გამყიდველი:

შ.პ.ს. „ცოტნე" ს/კ 437976460,

ონის რაიონი სოფ. სორი,საქართველოს ბანკის ონის ფილიალი

ბ/კ LBRTGE22, ა/ნ GE75LB0113110366051000 GEL : დირექტორი: /პ.გოგშელიძე/

შემსყიდველი:

შპს "ამბროლაურის სერვის ცენტრი" ს/კ **222937393**

GE78LB0112140300322000 LBRTGE22

დირექტორი: ალექსანდრე მიქიაშვილი

Aleksandre Mikiashvili

Подписано цифровой подписью: Aleksandre Mikiashvili
Дата: 2019.06.19 11:40:25 +04'00'